ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 10 (ბ)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის „17“ „მარტს“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, **სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით**, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე) (CPV კოდი - 31400000; 31431000.)

ერთის მხრივ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში **შემსყიდველი**) სააგენტოს უფროსის ბიძინა გიორგობიანის სახით, **მისამართი**: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6, ს/კ 204578581, **ტელ**: 2753910. **საბანკო რეკვიზიტები**: ცენტრალური ხაზინა, კოდი 380401. **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი“ (შემდგომში **მიმწოდებელი**) მისი დირექტორის ლაშა მიგინეიშვილის სახით, **მისამართი**: ქ.მცხეთა, დავით აღმაშენებლის ხეივანი (მარშალ გელოვანის გამზირი № 36) ს/კ 236093473, **საბანკო რეკვიზიტები**: ქ.თბილისი, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ც/ფილიალი, კოდი BAGAGE22, ა/ა GE29BG0000000153512100. ტელ: 54-00-00; 577550157. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 95 ამპერიანი 1 (ერთი) ცალი ტყვიამჟავური აკუმულატორი „Bosch 95 a/h“ (ავტომანქანისათვის – ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადო, სახელმწიფო ნომერი - QHQ-828) (შემდგომში საქონელი) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საქონლის ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **255 (ორასორმოცდათხუთმეტი)** ლარს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე.
3.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ.
3.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2 საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. № 6.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.
5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
6.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული საქონლის საგარანტიო ვადაა 3 (სამი) წელი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.
6.3 თუ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადის ამოწურვამდე აღმოჩნდება ან გამოვლინდება ნაკლი ან/და დეფექტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ნაკლიანი საქონლის უნაკლოთი და ახლით შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების ან ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
10.2 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მიმწოდებელი საქონლის მიწოდებისათვის დადგენილ ვადებს გადააცილებს 10 (ათი) კალენდარული დღით, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაგადაცილებულ დღეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გარდა დააკისროს მიმწოდებელს საურავი ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით და შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11..2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11..3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი მინდია ხახარაძე, ამავე სამმართველოს სპეციალისტი შოთა კოკაია და ამავე სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი არჩილ ჭანკვეტაძე (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი“).
12.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:
12.2.1 გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს.
12.2.3 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლისა.

15.2 ხელშეკრულების მე–7 მუხლი ძალაშია საქონლის მთლიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

15.3 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

ბიძინა გიორგობიანი

სააგენტოს უფროსი

ლაშა მოგინეიშვილი

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი"-ს დირექტორი